გ ანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა**
**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10.04.18

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17.05.18

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა** |
| განათლების საფეხური | **ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | **დიპლომირებული სტომატოლოგი**<br>Doctor of Dental Medicine (DDM)<br>090201 |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 300 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო კორსანტია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკატერინე ბეშკენაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ალხანიშვილი, სტომატოლოგიის ცენტრი „ალბიუსი“, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვახტანგ თებიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში 30 მარტს წარადგინა სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის განახლებული დოკუმენტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში განკუთვნილია ინგლისური ენის მცოდნე უცხოელი და საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს.

უკვე აკრედიტებული პროგრამით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლობს 150-მდე სტუდენტი, პროგრამას წელს ეყოლება პირველი კურსდამთავრებულები. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 5 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი და მოწვეული 27 ლექტორი, გარდა ამისა, უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ხარისხის სამსახურის უფროსის ინფორმაციით, კონკურსის შედეგად აკადემიურ პერსონალს კიდევ რამოდენიმე ადამიანი შეემატა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2018 წლის 10 აპრილს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია, დამატებითი საბუთები და მასალები მოთხოვნის შემდგომ, გადმოგვეცა ადგილზე.

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, წინასწარ გამოგზავნილ დღის განრიგში მითითებული ზოგიერთი პიროვნება შეხვედრას ვერ დაესწრო, თუმცა ჩანაცვლებულ იქნა პროგრამაში ჩართული სხვა თანამშრომლის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა ერთმანეთთან და პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია. საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მიმართულია ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, საფაკულტეტო პროგრამები სტუდენტის კვალიფიკაციის, ზოგადი სამედიცინო განათლების, სამეცნიერო მოღვაწეობის წახალისების, ადამიანის უფლებების, ეთიკის პრინციპების განვითარების და პატივისცემის ხელშეწყობისკენაა მიმართული. სპეციალობის სავალდებულო კლინიკური სასწავლო კურსების სწავლების მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის რესურსებთან და სწავლების შედეგებთან.

პროგრამით გათვალისწინებული საგნების შეფასება მისაღებია, თუმცა საბოლოო გამოცდაზე ფასდება სტუდენტის თეორიული მომზადება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები - არა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან შესაბამისობაშია, თუმცა რამოდენიმე სილაბუსის ავტორი სილაბუსის შესაბამისი დარგის სპეციალისტი არაა. გარდა ამისა, სპეციალობის ერთ-ერთი კურსი - პაროდონტოლოგია, ისწავლება შემცირებული პროგრამით, რაც უნივერსიტეტში ვიზიტის დროს აიხსნა იმით, რომ ეს პროგრამა შემუშავდა უცხოელი სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პროგრამაში სწავლა საქართველოს მოქალაქეებისთვისაცაა დასაშვები, ეს არგუმენტი ალოგიკურია, პროგრამა მხოლოდ სტუდენტის სურვილებზე არ უნდა იყოს მორგებული.

- **რეკომენდაციები**

<u>სილაბუსის ავტორი და სასწავლო კურსის განმახორციელებელი იყოს მხოლოდ დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი ლიცენზია და პრაქტიკული გამოცდილება (მაგ., "ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ყბა-სახის განვითარების თანდაყოლილი მანკები").</u> ვიზიტის დროს და უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს განახორციელებს სხვა, ყბა-სახის ქირურგიაში ლიცენზიის მქონე პირი, რომლის თანამონაწილეობითაც იქნა შედგენილი აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი. ჩვენ ვხელმძღვანელობთ უნივერსიტეტიდან მოწოდებული დოკუმენტაციით, რომელიც, ვთვლით, რომ უნდა შესწორდეს.

<u>სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდეს საუნივერსიტეტო კლინიკის სასტერილიზაციო ოთახი</u>. უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციას თან დაურთო დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულებაში არსებული ნარჩენების გატანასა და მათი გაუვნებელყოფის სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე კლინიკის თანამშრომლების სხვადასხვა ტრენინგებზე მონაწილეობა. მთავარი პრობლემა, რომელიც ვიზიტის დროს დაფიქსირდა არის ის, რომ სტანდარტებთან შეუსაბამობაშია თვითონ სასტერილიზაციო ოთახი, ყოვლად დაუშვებელია ერთ სივრცეში ხორციელდებოდეს დაბინძურებული ინსტრუმენტების დეზინფექცია, სტერილიზაცია და შენახვა! მოსაწესრიგებელია ასევე ნარჩენების დროებითი სათავსი, რომელიც საკომპრესოროშია, ეს კი სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

გადაიხედოს სასწავლო კურსი - პაროდონტოლოგია, სილაბუსი სწავლის შედეგზე გადის უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში, და არა საქართველოს მოქალაქეებისთვის.

სილაბუსის შედგენისას საკმარისია მხოლოდ სილაბუსის ავტორის მითითება. როდესაც ავტორის გარდა, სილაბუსის განმახორციელებლად კონკრეტული პირია მითითებული და სასწავლო კურსს სხვა ლექტორი კითხულობს, არის სილაბუსთან შეუსაბამობა. საკმარისია მხოლოდ აკადემიური თანამდებობების და სიტყვიერად - მოწვეული მასწავლებლის მითითება, კონკრეტული პიროვნების მითითების გარეშე. ან მეორე ვარიანტი - შეყვანილ იქნას ყველა განმახორციელებელი პირის ვინაობა, ვინც მოისაზრება სასწავლო კურსზე.

პრაქტიკულ საქმიანობაში დაემატოს მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, რაბერდამის სისტემა (მხოლოდ საფანტომო კლასში საკმარისი არ არის)

გადაიხედოს სტუდენტთა შეფასება შემაჯამებელ გამოცდაზე, განსაკუთრებით <u>სტომატოლოგიური</u> მიმართულების საგნებში, სადაც პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება. დღეისათვის გამოცდაზე ფასდება სტუდენტის მხოლოდ თეორიული ცოდნა, არ ფასდება სემესტრის მანძილზე მის მიერ შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. დეკანის ინფორმაციით, მომავალი წლიდან იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა სხვა პროგრამაზე, კარგი იქნებოდა თუ მსგავსი ტიპის გამოცდით სტუდენტის ცოდნა შეფასდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის დროს რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლას და გამარტივებას. შეცვლით შეიცვალა, თუმცა პათოლოგიის სილაბუსების სახელწოდებები ისევ იგივე დარჩა (არ გამარტივდა).

რეკომენდაციის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო კურსის სახით ჩამატებულ იქნა “ალერგოლოგია“.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
|---|
| პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიასთან შესაბამისობაშია. „სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა“ საშუალებას იძლევა, სტუდენტმა მიიღოს საბაზისო და კლინიკური თეორიული ცოდნა სტომატოლოგიაში, გამოიმუშავოს ბაზისური პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რაც უზრუნველყოფილია საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამით, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სამკურნალო დიაგნოსტიკური აპარატურით, საუნივერსიტეტო კლინიკით, აკადემიური პერსონალით და მოწვეული ლექტორებით. პროგრამის საჭიროება დასტურდება ბაზრის კვლევითა და დამსაქმებლებთან ინტერვიუებით. კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციის განვითარების რესურსი უნივერსიტეტს გააჩნია, მიზანი მიღწევადია და პროგრამა ორიენტირებულია არსებულ მოთხოვნაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუები<br>○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| პროგრამის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>კრედიტების რაოდენობა, სასწავლო კურსის მოცულობა და დრო ერთმანეთთან შესაბამისობაშია.<br>საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მიმართულია ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, საფაკულტეტო პროგრამები სტუდენტის კვალიფიკაციის, ზოგადი სამედიცინო განათლების, სამეცნიერო მოღვაწეობის წახალისების, ადამიანის უფლებების, ეთიკის პრინციპების განვითარების და პატივისცემის ხელშეწყობისკენაა მიმართული.<br>სპეციალობის სავალდებულო კლინიკური სასწავლო კურსების სწავლების მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის რესურსებთან და სწავლების შედეგებთან.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან შესაბამისობაშია, თუმცა რამოდენიმე სილაბუსის ავტორი სილაბუსის შესაბამისი დარგის სპეციალისტი არაა. (მაგ., ძირითადი კურსიდან - "ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ყბა-სახის განვითარების თანდაყოლილი მანკები"-ს სილაბუსი)<br>გარდა ამისა, სპეციალობის ერთ-ერთი კურსი - პაროდონტოლოგია, ისწავლება შემცირებული პროგრამით, რაც უნივერსიტეტში ვიზიტის დროს აიხსნა იმით, რომ ეს პროგრამა შემუშავდა უცხოელი სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თითქოს მათ არ სჭირდებათ ამ კურსის სრულყოფილად გავლა, რადგან მაინც ისწავლიან დიპლომის შემდგომი განათლების მიღების ეტაპზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პროგრამაში სწავლა საქართველოს მოქალაქეებისთვისაცაა დასაშვები, ეს არგუმენტი ალოგიკურია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები<br>○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება<br>○ ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სილაბუსის ავტორი და სასწავლო კურსის განმახორციელებელი იყოს მხოლოდ დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი ლიცენზია და პრაქტიკული გამოცდილება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>თანამედროვე სტომატოლოგიაში პაროდონტოლოგია მისი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი, მნიშვნელოვანი, რთული და სპეციფიკური მიმართულებაა. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, პაროდონტოლოგია, როგორც წესი, ცალკე სპეციალობაა. ამ ფონზე აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში პაროდონტოლოგიის სწავლების წილი მცირეა და სასურველი იქნებოდა მისი გავრცობა და განვითარება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>• ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით |
| საგანმანათლებო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზიდან, აკრედიტაციის ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩვენს მიერ შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებო პროგრამა მასზე წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია და პროგრამის სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.<br>კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სასწავლო პროგრამა, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობას ქმნის, რაც, თავისმხრივ, ამზადებს კვალიფიციურ დიპლომირებულ სპეციალისტებს სწავლების შემდეგი საფეხურისთვის. სარეზიდენტო პროგრამებისთვის სტუდენტებს ექნებათ საკმარისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რათა ეფექტიანად დაიწყონ პროფესიული კლინიკური საქმიანობა. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა იყვნენ კონკურენტუნარიანები მიღებული კომპეტენციის ფარგლებშიც დასაქმების ბაზარზეც. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საკითხებს, რომლებიც ბაზისურ ცოდნას აძლევს და ამზადებს შემდგომში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველებსაც. თუმცა, პრობლემა იქმნება იმ სტუდენტებისათვის, რომელთა ქვეყანაშიც საქართველოში მიღებული დიპლომის აღიარება არ ხდება და შესაბამისად სწავლის საკუთარ ქვეყანაში გაგრძელების პერსპექტივა არ არსებობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებმა ეს წინასწარ იცოდნენ და ამაში უნივერსიტეტს ვერ დავადანაშაულებთ. ვიზიტის დროს, რექტორმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მუშაობა დიდი ხანია მიდის, შეხვედრები ჩატარდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, თუმცა ჯერ-ჯერობით შედეგი არ არის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მნიშვნელოვანია, მოგვარდეს ერაყში და ირანში დიპლომის აღიარების პრობლემა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტების პროფესიული განვითარების საკითხი პერსპექტივის გარეშე რჩება მათ ქვეყანაში. ეს საკმაოდ რთული საკითხია და უნივერსიტეტის საზღვრებს ცდება, თუმცა საკუთარი სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უნდა ეცადოს პრობლემის მოგვარებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურა (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, აკადემიური საბჭო) ჩართულია სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მექანიზმებში.

თვითშეფასების ანგარიშში აგრეთვე ნახსენებია, რომ შემუშავებულია სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართვის მექანიზმები.

ამ სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების ჩართულობა დადასტურდა ვიზიტის დროს.

გასათვალისწინებელია, რომ ამ პროგრამას ამჟამად არ ჰყავს კურსდამთავრებულები, რის გამოც მათი ამ პროცესებში ჩართვის პირდაპირი შეფასება ვიზიტის დროს ვერ განხორციელდა. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ შესაბამისი მექანიზმი შემუშავებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| ○ თვითშეფასების ანგარიშით და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია. |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ● | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| წინამდებარე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების შესაბამისად (საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში), დამატებით ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.<br>უნივერსიტეტის ვებ -გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია საგანმანათლებო პროგრამების არჩევის შესახებ. დაინტერესებულ პირს შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოიძიოს პროგრამების კატალოგიდან.<br>აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის გზით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და მოთხოვნებით და შასაბამისად დადგენილ ვადებში.<br>პროგრამაზე სწავლის აუცილებელი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა.<br>ინგლისურენოვან პროგრამაზე გამოცდის გარეშე დაიშვებიან უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც წარადგენენ ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში დაიშვებიან მხოლოდ წინასწარი ტესტირების გავლის შემდეგ (უნივერსიტეტის ენათა ცენტრში). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

აღნიშნული პროგრამის სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ერთის მხრივ პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების განხორციელება დაგეგმილია სასწავლო კურსებში ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციების დემონსტრირების გზით და მეორეს მხრივ პრაქტიკული მეცადინეობების კურსით (რაც მოიცავს - საფანტომო კურსებს, პროპედევტიკურ ნაწილს, კლინიკებში ასისტირების და კლინიკური სწავლების კურსებს).

სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შეძენას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტის მანუალური-პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბების მიზნით პაციენტთან ინდივიდუალური მუშაობა (პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ) და პროფესიული პრაქტიკა X სემესტრიდან . სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტივობა განისაზღვრება ჯგუფებში მუშაობის, დისკუსია/დებატების, შემთხვევების ანალიზის, პრეზენტაციის და დემონსტრირების მეთოდების გზით. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, კოგნიტური აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას.

მეტი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას და კონცენტრირებულია სწავლება კლასიკური ლექციების სტილით ასევე ხდება გარკვეულ წილად პრაქტიკული საქმიანობის და სტუდენტის ინტეგრირებას კლინიკურ სივრცეში: პაციენტებთან დამოუკიდებლად მუშაობა-კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარების განვითარება (პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

| |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტები თანმიმდევრობითაა განაწილებული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სტუდენტის შეფასების მეთოდები კარგადაა გაწერილი, დეტალურადაა აღწერილი ქულების განაწილება შუალედურ შეფასებებში და დასკვნით გამოცდაზე.
თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
სწავლების პროცესში სტუდენტის ცოდნა ფასდება ლექცია-სემინარებზე დისკუსიაში მონაწილეობის, აქტიურობის, პრაქტიკული, ლაბორატორიული და წერითი დავალების შესრულების, ზეპირი პრეზენტაციის, კითხვებზე პასუხის გაცემის, რეფერატის, სპეციალურად შემუშავებული ტესტების, კითხვარების საშუალებებით.
შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.
სამწუხაროდ, დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მხოლოდ თეორიული ცოდნის შეფასება ხდება, რაც ჩვენი აზრით, არასაკმარისია, სასურველია შემოწმდეს სემესტრის მანძილზე მის მიერ შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

გადაიხედოს სტუდენტთა შეფასება შემაჯამებელ გამოცდაზე, განსაკუთრებით სტომატოლოგიური მიმართულების საგნებში, სადაც პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

ინფორმაცია სასწავლო კურსის სილაბუსების შესახებ, რომელიც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს, სრულად ასახავს შეფასების სისტემისა და კომპონენტების მდგომარეობას.
სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც მას აძლევს საკუთარი ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების გააზრების შესაძლებლობას.
სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ მიიღონ როგორც სასწავლო კურსის სილაბუსებიდან და საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში, „გონში" ისე, პროფესორის ან პროგრამის ხელმძღვანელის მეშვეობით. კურსის განმახორციელებლებს აქვთ ვალდებულება სტუდენტებს სილაბუსი გააცნონ კურსის დასაწყისშივე, გაარჩიონ და მოისმინონ სტუდენტთა შეხედულებები.
სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტისთვის გამჭვირვალეა ინფორმაცია მისი შუალედური შეფასებების შესახებ, ამიტომ მან ზუსტად იცის თავისი ნაკლოვანებების თაობაზე და საბოლოო შეფასების მიღებამდე სასწავლო კურსის პროფესორისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დახმარებით სახავს გზებს აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები<br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „გონი“ |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ● | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

| 3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას |
|---|
| თვითშეფასების ფორმითა და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციით ჩანს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სტუდენტებთან პირდაპირი და ღია ურთიერთობა აქვს, და რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს სასწავლო პროცესებთან, მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.<br>უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტებს ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმარებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია<br>○ ელექტრონული სისტემა |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სტუდენტებს მიეწოდოთ ასევე სრულყოფილი ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებთან და სამომავლო პროექტებთან დაკავშირებით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა |
|---|
| უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ აღნიშნული პრაქტიკა რეალურად არსებობს და მიმართავენ საჭიროების შემთხვევაში. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ○ სილაბუსები
- ○ ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

თვითშეფასების ანგარიშში და ვიზიტის დროს საკმარისად არ იყო წარმოდგენილი მიმდინარე ან ჩატარებული კვლევითი პროექტების კონკრეტული მაგალითები, რომლებშიც შეიძლებოდა ჩართული ყოფილიყვნენ მოცემული პროგრამის სტუდენტები. თუმცა, უნივერსიტეტს დაწესებული აქვს სპეციალური პრემია და ბიუჯეტიდან გამოყოფილია ფინანსები შიდა საგრანტო კონკურსებისათვის, რამაც მომავალში შეიძლება წაახალისოს კვლევითი პროექტების განხორციელება.
უნივერსიტეტში ეწყობა კურიკულუმისგან დამოუკიდებელი სხვადასხვა აქტივობები — სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებები.
სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტური კონფერენციების, ჯგუფური პროექტების დამუშავებისა და პრეზენტაციების მეშვეობით. უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, სტუდენტებთან გასაუბრების დროს. მათ დაგვიდასტურეს სხვადასხვა კლინიკურ შემთხვევებში მათი რეალური ჩართულობა, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ○ ინტერვიუები ვიზიტის განმავლობაში

- ○ თვითშეფასების ანგარიში
- ○ ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციები

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კონკრეტულად ამ პროგრამიდან უფრო მეტი პროფესორი და შესაბამისად მეტი სტუდენტი ჩაერთოს კვლევითი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

უნივერსიტეტს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებელთან აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.
აღნიშნული პროგრამა ინგლისურენოვანია და ორიენტირებულია სრულად ინტერნაციონალიზაციაზე. თვითშეფასების ანგარიშიდან და ვიზიტიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს და მომავალში გეგმავს საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირების დამყარებას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების, სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების საქმეში გამოცდილების ურთიერთგაზიარების, პროფესორ–მასწავლებელთა და ინგლისურენოვანი პროგრამიდან სტუდენტთა ურთიერთგაცვლითი პროგრამების განხორციელებას.
ამჟამად უცხოეთის უნივერსიტეტებთან ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში სტუდენტური გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ხორციელდბა, ძირითადად ეს ეხებოდა სავიზო პოლიტიკას, მაგ., ერთმა სტუდენტმა ერაზმუსის ფარგლებში გრანტი მოიპოვა, მაგრამ ვიზასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, ვერ შეძლო გამგზავრება.
ბიბლიოთეკაში არსებობს უცხოენოვანი ლიტერატურის წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტში არსებობს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას საერთაშორისო პროექტებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ○ თვითშეფასების ანგარიში
- ○ ინტერვიუს შედეგები

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ● | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

| 4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საფანტომო სწავლების ორი კაბინეტი და ორი საუნივერსიტეტო კლინიკა. კაბინეტების და კლინიკების აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა საკმარისია სტუდენტებისთვის ბაზისური ცოდნის მიწოდებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან, სადაც სტუდენტებს პრაქტიკული მეცადიონებები უტარდებათ, აკვირდებიან კვალიფიციური ექიმების მუშაობას და რიგ შემთხვევებში ასისტირებას უწევენ.<br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიოქიმიური, მედიცინის საბაზისო დისციპლინების და ნეირომეცნიერებისა და გამოყენებითი ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომლებიც სწავლების პროცესისთვისაა განკუთვნილი. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და საკონფერენციო დარბაზები მორგებულია სტუდენტის ინტერესებს და სტანდარტებს. მიმდინარეობს ბიბლიოთეკების განახლებაც, თუმცა სახელმძღვანელოები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტი მიერთებულია არაერთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br>საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკების სასტერილიზაციო ოთახის მოწესრიგება და მორგება თანამედროვე სტანდარტებზე. ვინაიდან, რაკი სასტერილიზაციო ოთახი სტუდენტების დასაქმების ერთ-ერთი პოტენციური ადგილია, მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქურა და სისტემა კრიტიკის საფუძველს არ იძლეოდეს. ყოვლად დაუშვებელია ერთ სივრცეში ხორციელდებოდეს დაბინძურებული ინსტრუმენტების დეზინფექცია, სტერილიზაცია და შენახვა! მოსაწესრიგებელია ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხიც. ნარჩენების დროებითი სათავსი გაკეთდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის 294-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტმა თავი მოუყარა სათანადო სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებს. ეს დამტკიცდა მათთან პირადი გასაუბრების შემდეგაც.
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი სისტემატურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტუდენტთა მიერ, რაც აისახება სპეციალური გამოკითხვის ფორმებში.
მედიცინის დეკანის ინფორმაციით, თითოეულ მათგანს აქვს ინგლისური ენის ფლობის კომპეტენცია და ინგლისურ ენაზე სალექციო კურსების წაკითხვის გამოცდილება, რაც დასტურდება ან შესაბამისი სერთიფიკატით ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მათი ენის ცოდნის დონე განისაზღვრება ენების ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტირებით და საცდელი ლექციით, ინგლისურ ენაზე.
გარდა ამისა, საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება უცხოელი პროფესორებისა და დარგის ექსპერტების ჩართვა.
პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს და ეს დადასტურდა ვიზიტის დროსაც, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, უნივერსიტეტში ხშირად იმართება ლექტორთა სამეცნიერო კონფერენციები; საჯარო ლექციები; მეთოდოლოგიური სემინარები, ტრეინინგები; დაწესებულია პრემიები, შიდა გრანტები, სამომავლოდ იგეგმება პროფესორ-მასწავლებელთა მივლინებები საზღვარგარეთ.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ პროფესორ-მასწავლებელთა პირადი მონაცემები, მათთან დადებული ხელშეკრულებები.<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ სილაბუსები<br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ ბიუჯეტი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით |
| საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით.<br>პროგრამას უშუალოდ ემსახურება ადმინისტრაციული პერსონალი, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი. რიგ შემთხვევებში ისინი ტექნიკურ დახმარებასაც უწევენ სტუდენტებს სწავლის მიმდინარეობის დაგეგმვასა და აკადემიური რეგისტრაციის პროცესში. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ○ თვითშეფასების ანგარიში
- ○ საგანმანათლებლო პროგრამა
- ○ ინტერვიუს შედეგები
- ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „გონი“

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

უნივერსიტეტს აქვს წვდომა მრავალ აპრობირებულ თანამედროვე სახელმძღვანელოსთან და უახლეს ინგლისურენოვან ლიტერატურასთან, ამასთანავე, სტუდენტებისთვის შექმნილია შესაბამისი სამკითხველო გარემო.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ის სახელმძღვანელოები, რომლებიც სასწავლო პროგრამის სილაბუსებშია მითითებული. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა დარგის აქტუალურ მიღწევებზეა დაფუძნებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და სასწავლო მასალის ფონდი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს ფინანსები შემდეგი მიმართულებებით: მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივი განახლება, ბიბლიოთეკის შევსება ახალი ლიტერატურით, კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა, სტუდენტური კონფერენციები, სტუდენტებისა და პროფესორების ნაშრომების გამოქვეყნება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>გამოიყოს მეტი რესურსი კვლევებისა და კონფერენციებისათვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ● | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

| 5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს |
|---|
| თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობა, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით, რომელიც მოქმედებს<br>PDCA- ს პრინციპით ("დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე).<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სწავლის ხარისხს და საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების სტანდარტებთან შესაბამისობას. რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და სრულყოფას, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფას, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას.<br>ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან და იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კონკრეტულ პროგრამაში.<br>უნივერსიტეტში მუდმივად ტარდება სტუდენტების ანონიმური გამოკითხვა. სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. უნივერსიტეტში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის პროცესში.<br>გამოკითხვის დასრულების შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება.<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარი კურსდამთავრებულთათვისაც, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლის შედეგებით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი, დაადგინოს პრობლემები და საჭიროების შემთხვევაში მათში შეიტანოს სათანადო ცვლილებებ. აღნიშნული დადასტურდა უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, როდესაც გავეცანით დოკუმენტაციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებები და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>○ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები (ანკეტა-კითხვარებით საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორის, სილაბუსის და ა. შ. შეფასების შესახებ);<br>○ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სწავლის პერიოდში სისტემატურად ხდება სწავლების ხარისხის შიდა შეფასება.
თვითშეფასების ანგარიშში ასახული და ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სწავლის პროცესების და ორგანიზაციული საკითხების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი. საგანმანათლებო პროცესში გარკვეული პერიოდულობით ხდება მეცადინეობების, სწავლების ხარისხისა და პროფესორ-მასწავლებლების შესაბამისი კომპეტენციის კონტროლი. უნივერსიტეტი თავისი ყოველდღიური საქმინობით მოწოდებულია სრულყოფისკენ და ცდილობს განავითაროს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სწავლების გაუმჯობესების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ტარდება ანონიმური გამოკითხვა, რომელშიც ჩართულია სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავერებულები და პერსონალი. მონიტირინგის შედეგების ანალიზი ხორციელდება SWOT- ანალიზით. შესაბამისად ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე ხდება საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა და მათი შეფასება. რის შედეგადაც ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური ახდენს რეაგირებას და გეგმავს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ვიზიტის დროს მოყვანილ იქნა კონკრეტული მაგალითები, მათ შორის ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსებში, ლექტორებში.
პროგრამის გარე შეფასება კი ხორციეულდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული აკრედიტაციის გზით, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას. პირველადი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ SWOT- ანალიზი<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ● | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
<u>კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი</u>

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
<u>სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი  საგანმანათლებლო პროგრამა</u>

დასკვნის გვერდების რაოდენობა:
30

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ● | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ● | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ● | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ● | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ● | | |
| საბოლოო შეფასება | ● | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**
**<u>კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი</u>**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**
**<u>სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა</u>**

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:**
**30**

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ● | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ● | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ● | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ● | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ● | | |
| **საბოლოო შეფასება** | ● | | |

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:**